სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 იანვარი 2024

N 3/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგხ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N1;
2. შპს „აჭარ ენერჯი-2007“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N1 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო